დანართი №4

უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშის შესახებ დასკვნა

[დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა მათემატიკა]

[სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი]

[24.01.2022]

დასკვნის მომზადების მიზანი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფისთვის, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით გათვალისწინებული რეკომენდაციების ან/და რჩევების საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შესრულების შეფასება.

ანგარიშის შეფასების პრინციპები

წარმოდგენილი ანგარიში უნდა შეფასდეს შემდეგი პრინციპების დაცვით

- ანგარიშის შევსების სისწორისა და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისობის შეფასება
- აკრედიტაციის პროცესის შედეგად აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესწავლა
- საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას გამოკვეთილი და შესრულებული რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესწავლა
- საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესრულებისთვის შერჩეული მეთოდების/მიდგომებისა და შედეგების შეფასება
- რეკომენდაცი(ებ)ისა ან/და რჩევ(ებ)ის შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულებების შეფასება
- ანგარიშის შესწავლის შედეგების ფორმირება

ექსპერტი

სახელი **რომეო**

გვარი **გალდავა**

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204864548

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[1]	მათემატიკა
2	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
3	კვალიფიკაციის დონე[2]	მერვე
4	კვალიფიკაციის დასახელება	მათემატიკის დოქტორი
5	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[3]	
6	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)[4]	მათემატიკა - 0541
7	სწავლების ენა	ქართული
8	ECTS კრედიტების რაოდენობა	35 (ECTS) კრედიტი
9	განხორციელების ადგილი[5]	საქართველო, 0177, თბილისი, უნივერსიტეტის ქუჩა, 13
10	საგანმანათლებლო პროგრამის სტატუსი-აკრედიტაცია შესაბამისი საბჭოს ბოლო გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	აკრედიტებული, 2021 წლის 25 ივნისის №694535 გადაწყვეტილება
11	გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	2021 წლის 25 ივნისი
12	საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოსადგენად განსაზღვრული ვადა, თარიღი	2021 წლის 27 დეკემბერი
13	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	2028 წლის 26 ივნისი

[1] დასახელება შინაარსობრივად შეესაბამება დეტალურ სწავლის სფეროს
[2] ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით
[3] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში
[4] განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორი ((ISCED – F – 2013)
[5] ქვეყანა, საფოსტო ინდექსი, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, ქუჩა, ქუჩის ნომერი

საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შეფასება საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების მიხედვით

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	√			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		√		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	√			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	√			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	√			

შესასრულებელი რეკომენდაცი(ებ)ი[6]

1. *რეკომენდებულია, პროგრამის სტრუქტურიდან და სპეციფიკიდან გამომდინარე დაშვების წინაპირობად განისაზღვროს ინგლისური ენა (B2 დონე);*
2. *რეკომენდებულია, „მათემატიკური კვლევების თანამედროვე მეთოდების“ სასწავლო კურსის მიზნები, სწავლის შედეგები და კურსის შინაარსი მოყვანილ იქნას სრულ შესაბამისობაში;*
3. *რეკომენდირებულია სადოქტორო პროგრამის კომპონენტებისათვის-დოქტორანტის სემინარი, სამეცნიერო კვლევითი პროექტი-დადგინდეს წარსადგენი ნაშრომისადმი (სტრუქტურა, გვერდების რაოდენობა, შრიფტი, ველები დაა. შ) სარეკომენდაციო მოთხოვნები.*

[6] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების რაოდენობის გათვალისწინებით

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და რეკომენდაციების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია[7]

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 9 ივლისის # 694535 გადაწყვეტილების საფუძველზე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „მათემატიკის“ საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით 6 თვეში ანგარიშის წარმოდგენის პირობით. ინსტიტუციამ წარმოადგინა ანგარიში 2021 წლის 27 დეკემბერს. ანგარიშის მიხედვით შეიქმნა სპეციალური სამუშაო ჯგუფი, რომელსაც დაევალა აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების უზრუნველყოფა. ჯგუფის მუშაობის შედეგად, დაინტერესებული მხარის ჩართულობით გათვალისწინებულ იქნა ყველა რეკომენდაცია და შევიდა შესაბამისი ცვლილებები პროგრამასა და სილაბუსებში, რომელიც დამტკიცდა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე. აღსანიშნავია, რომ პროგრამაში, აგრეთვე, განხორციელდა რიგი ცვლილებები. კერძოდ პროგრამის ხელმძღვანელებს დაემატა გოტინგენის უნივერსიტეტის პროფესორი რალფ მეიერი და სწავლების ენად განისაზღვრა ქართული, ინგლისური კომპონენტებით, რაც მნიშვნელოვნად აძლიერებს პროგრამის ინტერნაციონალიზაციის კომპონენტს.

რჩევ(ებ)ი[8]

- *სასურველია, მიეთითოს პროგრამაზე ჩარიცხვის სხვა შესაძლებლობები (უცხოეთის უნივერსიტეტების კურსდამთავრებულები, ფაკულტეტის შიგნით მობილობა), როგორც ეს ფაკულტეტის დოქტორანტის დებულებაშია მოცემული.*

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და რჩევების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია[9]

რჩევა გათვალისწინებული არ არის (რჩევების გათვალისწინება არ არის სავალდებულო).

---

[7] საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ანგარიშის წარმოდგენის თარიღი, საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ანგარიშის წარმოდგენის ვადა, რეკომენდაციების ან/და რჩევების გათვალისწინების პროცესში ჩართული პირების, შერჩეული მეთოდების/მიდგომების აღწერა და საბოლოოდ მიღწეული შედეგები, საჭიროებისამებრ, დამატებით სხვა ინფორმაცია.

[8] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რჩევების რაოდენობის გათვალისწინებით (რჩევების გათვალისწინება არ არის სავალდებულო)

[9] საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ანგარიშის წარმოდგენის თარიღი, საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ანგარიშის წარმოდგენის ვადა, რეკომენდაციების ან/და რჩევების გათვალისწინების პროცესში ჩართული პირების, შერჩეული მეთოდების/მიდგომების აღწერა და საბოლოოდ მიღწეული შედეგები, საჭიროებისამებრ, დამატებით სხვა ინფორმაცია.

დამატებითი ინფორმაცია[10]

რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის გათვალისწინების შესახებ[11]

სტანდარტის დასახელება[12]	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება[13]	2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
რეკომენდაცია I[14]	**რეკომენდებულია, პროგრამის სტრუქტურიდან და სპეციფიკიდან გამომდინარე დაშვების წინაპირობად განისაზღვროს ინგლისური ენა (B2 დონე)**
შეფასება	რეკომენდაცია გათვალისწინებულია, კერძოდ პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განისაზღვრა -**ინგლისური ენის (B2 - დონე) ცოდნის დადასტურება.**
რჩევა[15] I	-
შეფასება	-
მტკიცებულებ(ები)ა	სადოქტორო პროგრამა „მათემატიკა“, პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი.

სტანდარტის დასახელება	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.3 სასწავლო კურსი
რეკომენდაცია II	**რეკომენდებულია, „მათემატიკური კვლევების თანამედროვე მეთოდების“ სასწავლო კურსის მიზნები, სწავლის შედეგები და კურსის შინაარსი მოყვანილ იქნას სრულ შესაბამისობაში**
შეფასება	რეკომენდაცია გათვალისწინებულია, კერძოდ „მათემატიკური კვლევების თანამედროვე მეთოდების“ სასწავლო კურსის სახელწოდება დაკორექტირდა და ჩამოყალიბდა შემდეგი სახით - „მათემატიკური კვლევების ზოგიერთი თანამედროვე მეთოდი“.

---

[10] საგანმანათლებლო დაწესებულების გადაწყვეტილებით, საჭიროების შემთხვევაში

[11] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების ან/და რჩევების რაოდენობის გათვალისწინებით

[12] სტანდარტის დასახელება ნუმერაციის მითითებით

[13] კომპონენტის დასახელება ნუმერაციის მითითებით

[14] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

[15] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

	ამავე დროს სასწავლო კურსის მიზნები და სწავლის შედეგები მოყვანილ იქნა შესაბამისობაში კურსის შინაარსთან.
რჩევა	-
შეფასება	-
მტკიცებულებ(ები)ა	სადოქტორო პროგრამა „მათემატიკა“, „მათემატიკური კვლევების ზოგიერთი თანამედროვე მეთოდის“ სასწავლო კურსის სილაბუსი.

სტანდარტის დასახელება	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/ შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
რეკომენდაცია III	**რეკომენდირებულია სადოქტორო პროგრამის კომპონენტებისათვის - დოქტორანტის სემინარი, სამეცნიერო კვლევითი პროექტი - დადგინდეს წარსადგენი ნაშრომისადმი (სტრუქტურა, გვერდების რაოდენობა, შრიფტი, ველები დაა. შ) სარეკომენდაციო მოთხოვნები.**
შეფასება	რეკომენდაცია გათვალისწინებულია, კერძოდ, წარმოდგენელია „დოქტორანტის სემინარის“ სილაბუსი, სადაც აღწერილია სარეკომენდაციო მოთხოვნები წარსადგენი ნაშრომისადმი (ნაშრომის სტრუქტურა, ფორმატი, მოცულობა და სხვ)
რჩევა	-
შეფასება	-
მტკიცებულებ(ები)ა	სადოქტორო პროგრამა „მათემატიკა“, „დოქტორანტურის სემინარის“ სილაბუსი.

თანდართული დოკუმენტაცია[16]

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- სილაბუსი - მათემატიკური კვლევების ზოგიერთი თანამედროვე მეთოდი;
- სილაბუსი - დოქტორანტის სემინარი.

ექსპერტის ხელმოწერა */რომეო გალდავა/*

[16] თითოეული დოკუმენტის დასახელება და ფურცლების რაოდენობა